სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 **აგვისტო, 2026 წელი**

ბრძანება №01-02/148

2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში
შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, **კრედიტების აღიარებისა** და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, **,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის** დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, ,,2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2026 წლის 29 ივნისის №1.1/80 ბრძანების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (აწსუ), საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თესაუ) და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ბსუ) შორის „განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულების (17.07.2025 წ.), „ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებების“ დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ივლისის №06-01/37 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/127 დადგენილებით), ,,2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/124 დადგენილების საფუძველზე, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 26 0000972859, **24/07/2026 წ.) საფუძველზე,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს **2026-2027** სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში **შიდა მობილობის ვადები** ბსუ-ში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან ბსუ-ს სტატუსშეჩერებული პირის სასწავლო პროცესში დაბრუნების (ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის) მსურველთათვის (შემდგომში - შიდა მობილობის მსურველი):

ა) ბსუ-ში **შიდა მობილობის მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია** ბსუ-ს სტუდენტური **პორტალის** (portal.bsu.edu.ge) **მოდულის „შიდა მობილობის“ საშუალებით - 2026 წლის 10 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით.** პროგრამის შეცვლის მსურველი ბსუ-ს სტუდენტი (საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე) უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისა და განსაზღვროს არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტულობა (რიგითობის შესაბამისად). ბსუ-ს ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე **„განათლების მეცნიერებები“** გადმოსვლის მსურველი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. „ბსუ-ს ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე **„განათლების მეცნიერებები“** ბსუ-ს დოქტორანტის შიდა **მობილობის სააპლიკაციო განაცხადი“,** შევსებული „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“ **№3 დანართის** შესაბამისად;
2. საკვლევი თემის განვითარების ხედვა წერილობით;
3. სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების თანხმობა;
4. ცნობა ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შესახებ;
5. განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი/განათლების სფეროში **მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი** გამოცდილების დამადასტურებელი ცნობა;
6. **ინგლისური ენი**ს არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), იმ შემთხვევაში, თუ ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდა ინგლისური ენის B2 დონის დასადასტურებლად არ აქვს ჩაბარებული.

ბ) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირის (შემდეგში - ე.წ. „მობილობის ჯგუფი“) მიერ ბსუ-ს პორტალის „შიდა მობილობის“ მოდულში რეგისტრირებულ სტუდენტთა ელექტრონული განცხადებების ტექნიკური გადამოწმება და დადასტურება -2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით;

გ) ფაკულტეტის დეკანის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მიერ სტუდენტების ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების შედეგების შეთავაზებულ (სტუდენტის მიერ არჩეულ) პროგრამასთან თავსებადობის გადამოწმება და დადასტურება - 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით;

დ) ფაკულტეტის დეკანის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მიერ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ წინაპირობებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთავაზებულ (სტუდენტის მიერ არჩეულ) პროგრამასთან თავსებადობას გადამოწმება და დადასტურება 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით;

ე) ამ პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზის შემთხვევაში მობილობის მსურველის მიერ რეგისტრაციის კორექტირება - 2026 წლის **20** აგვისტოს ჩათვლით, ხოლო კორექტირებული მონაცემების გადამოწმება და დადასტურება ბსუ-ს უფლებამოსილი პირების მიერ - 2026 წლის **21** აგვისტოს ჩათვლით;

ვ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით შიდა მობილობის მსურველთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეთავაზებულ (სტუდენტების მიერ არჩეულ) საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობისა და **კრედიტების აღიარების დასკვნების მომზადება** 2026 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით და ელექტრონული ვერსიების (ხელმოწერილი და სკანირებული) **ატვირთვა** ბსუ-ს პორტალის ,,შიდა მობილობის'' მოდულის შესაბამის ველში - 2026 წლის **27 აგვისტოს** ჩათვლით;

ზ) ბსუ-ს პორტალის ,,შიდა მობილობის'' მოდულის შესაბამის ველში ატვირთული კრედიტების აღიარების დასკვნების ელექტრონული ვერსიების (ხელმოწერილი და სკანირებული) დადასტურება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ - 2026 წლის 27 აგვისტოს ჩათვლით;

თ) შიდა მობილობის მსურველის მიერ კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ ბსუ-ს პორტალის **,,შიდა მობილობის''** მოდულის საშუალებით **თანხმობის ან უარყოფის ელექტრონულად დაფიქსირება** - 2026 წლის **31 აგვისტო - 1 სექტემბერი, ხოლო სადოქტორო** საფეხურზე შიდა მობილობის მსურველებისათვის **- 2026 წლის 31 აგვისტო;**

ი) ბსუ-ს ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე **,,განათლების მეცნიერებები"** გადმოსვლის მსურველებისათვის (მიმღები ფაკულტეტის მიერ მომზადებულ კრედიტების აღიარების დასკვნაზე შიდა მობილობის მსურველის მიერ თანხმობის შემთხვევაში) **ჩასატარებელი გამოცდების** მიმღები ფაკულტეტის მიერ **დაგეგმვა-ორგანიზება** (სამართლებრივი აქტების პროექტების, ასევე შიდა მობილობის მსურველთა ინფორმირებისათვის ბსუ-ს ვებგვერდზე შესაბამისი განცხადების ტექსტის მომზადება) **და ჩატარება - 2026 წლის 01-02 სექტემბერი.** ,,განათლების მეცნიერებების" სადოქტორო პროგრამაზე შიდა მობილობის მსურველი ბსუ-ს **დოქტორანტისათვის სავალდებულოა: 1. გაიაროს გასაუბრება** საკვლევი თემის ირგვლივ, აღნიშნული სადოქტორო **პროგრამის მმართველ საბჭოსთან**; **2. წარმოადგინოს ინგლისური ენის** არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბაროს გამოცდა ინგლისური ენის B2 დონის დასადასტურებლად (იმ შემთხვევაში, თუ ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდა ინგლისური ენის B2 დონის დასადასტურებლად არ აქვს ჩაბარებული). შიდა მობილობის მსურველებისათვის ჩასატარებელი გამოცდების ზუსტი დროის და ადგილის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, მობილობის განცხადების ველში და ასევე დამატებით ეცნობოს შიდა მობილობის მსურველ დოქტორანტებს, მიმღები ფაკულტეტის მიერ, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან კოორდინირებით;

კ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს შიდა მობილობის შედეგების შესახებ **სამსახურებრივი ბარათის** წარმოდგენა შიდა მობილობით ჩარიცხვაზე უფლებამოპოვებული პირების შესახებ, რომლებთანაც უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებები - 2026 წლის **03 სექტემბერი;**

ლ) ბსუ-ში შიდა მობილობის შედეგად შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან **ხელშეკრულების გაფორმება - 2026 წლის 3-4 სექტემბერი 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე** (ხელშეკრულების გაფორმების ადგილის შესახებ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე და პორტალზე, შესაბამის ველებში);

მ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ ბსუ-ს შიდა მობილობის შედეგების შესახებ სამსახურებრივი ბარათისა და ბსუ-ში შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის წარმოდგენა და **ბრძანების გამოცემა - 2026 წლის 07 სექტემბერი.**

2. წინამდებარე ბრძანების აღსრულების მიზნით **დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს:**

ა) 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ში შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მომზადება და წარდგენა (web@bsu.edu.ge) წინამდებარე ბრძანებისა და ბსუ-ს მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის (№01-02/143, 01.08.2023 წ.) მოთხოვნათა დაცვით და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად, ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე ბსუ-ს ფეისბუკ გვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განსათავსებლად;

ბ) ბსუ-ს პორტალის მოდულში ,,შიდა მობილობა'' „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის'' (№01-02/143, 01.08.2023 წ.) და წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

3. ბსუ-ს ფაკულტეტებმა, სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა, **სამეცნიერო კვლევების სამსახურმა** (მხოლოდ დოქტორანტურის პროგრამაზე შიდა მობილობის ნაწილში) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კოორდინირებულად უზრუნველყონ ბსუ-ში მობილობის პროცესის საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის" შესაბამისად წარმართვა.

4. ბსუ-ს **სამეცნიერო კვლევების სამსახურმა,** შესაბამის ფაკულტეტთან თანამშრომლობით და რექტორის მოადგილის კოორდინირებით, უზრუნველყოს 2026-2027 სასწავლო წლის **შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ფარგლებში ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების** კომისიების შექმნის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის მომზადება-გამოცემის პროცესის ხელშეწყობა.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (ასევე სამსახურებს), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**